# ლენინური კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ბავშვთა III საკავშირო სპორტული თამაშების „იმედის სტარტების" ფინალური შეჯიბრების მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საკავშირო პროფსაბჭო, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი მხურვალედ და გულთბილად გილოცავთ ბავშვთა III საკავშირო სპორტული თამაშების — „იმედის სტარტების" მონაწილეებს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს ფინალური შეჯიბრებების გახსნას.

თქვენი სპორტული თამაშები ტარდება ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა კომკავშირელები, ჩვენი ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები დიდი აღმაფრენით ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობისა და საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ავლენენ მაღალ პოლიტიკურ და შრომით აქტიობას, აჩვენებენ წარჩინებული სწავლისა და დამკვრელური შრომის მაგალითებს.

ლენინური კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ბავშვთა სპორტული თამაშების „იმედის სტარტების" საკავშირო ფინალურ შეჯიბრებებს წინ უძღოდა კლასებში, სკოლებსა და პიონერულ ბანაკებში მასობრივი შეჯიბრებები, რომლებშიც მილიონობით ნორჩმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ბევრმა მათგანმა შეასრულა მშრ საკავშირო კომპლექსისა და სპორტული თანრიგების ნორმატივები, დაამყარა პირადი რეკორდი.

თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, დიდი პატივი გხვდათ წილად საკავშირო პიონერულ ბანაკ „არტეკში" წარმოადგინოთ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სპორტული სიჭაბუკე.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ყველა პიონერი და მოსწავლე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს „იმედის სტარტებში", სისტემატურად ივარჯიშებს ფიზკულტურასა და სპორტში, გაიკაჟებს ჯანმრთელობას, მოემზადება შრომისთვის და სამხედრო სამსახურისთვის. დარწმუნებული ვართ, რომ ღირსეულად მიიღებთ საბჭოთა სპორტსმენთა — ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების ბრწყინვალე გამარჯვებათა ესტაფეტას, გაამრავლებთ მათ დიდებას საერთაშორისო სარბიელზე, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, გმირ-ქალაქ [illegible] ოლიმპიური თამაშების [illegible]. გისურვებთ [illegible] გობრებო, შემდგომ სტარტებს, წარმატებებს სწავლაში, შრომასა და სპორტში ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად.

**საკავშირო პროფსაბჭო, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 194 (6249)

1978 წ. 3 ოქტომბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ფეხბურთი

ბუშინდელი მატჩი „დინამომ" კვლავ კარგად ითამაშა. 3:0 ამის საკმაოდ ნათელი ილუსტრაციაა. გუნდი საკუთარ ძალაში დარწმუნებული განაგრძობს დასახული მიზნისკენ წინსვლას. როგორც წესი და რიგია, პირველი სიტყვა ყოველთვის კაპიტანს ეკუთვნის და მანუჩარ მაჩაიძეც ნებისმიერ მატჩში მაგალითს აძლევს თანაგუნდელებს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: იერიშზეა დინამოელთა კაპიტანი მ. მაჩაიძე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



# სპარტაკიადის ალამი დაეშვა

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ე. ბერიშვილი ტაშკენტიდან გვატყობინებს:

**ჯვირას**, 1 ოქტომბერს ტაშკენტში საზეიმო ვითარებაში დაეშვა მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ალამი. 25 დღის განმავლობაში უზბეკეთის დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე საინტერესო სპორტული პაექრობა ჰქონდათ გაჩაღებული ჩვენი ქვეყნის ნორჩ სპორტსმენებს, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს. დამყარდა მრავალი საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი, სპარტაკიადის ასობით მონაწილემ შეასრულა საერთაშორისო კლასისა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივი. მედლების კომპლექტების დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. სპორტის მთელ რიგ სახეობებში წარმატებით იასპარეზეს მასპინძლებმა — უზბეკმა მოსწავლეებმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ოქროს 9, ვერცხლის 11 და ბრინჯაოს 16 მედალი მოიპოვეს.

ოქროს მედლების მოპოვების კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ ქართველ ფეხბურთელებს. ისინი იგებდნენ კიდევაც ფინალური ტურის ბოლო შეხვედრას უზბეკეთის ნაკრებთან (გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში მ. ლაცაბიძემ გაიტანა), მაგრამ შემდეგ საკუთარ კარში ორი ბურთი მიიღეს და დამარცხდნენ — 1:2, საბოლოოდ ჩვენმა ფეხბურთელებმა 5 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავეს. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა უკრაინის ნაკრები (7 ქულა) მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად უზბეკეთისა და სომხეთის კოლექტივები გავიდნენ.

კალათბურთელ გოგონათა შორის უძლიერესი იყო რსფსრ-ს ნაკრები. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მე-9 ადგილი დაიკავეს. მე-9 ადგილზე გავიდნენ ჩვენი ჭაბუკებიც, რომლებმაც ბოლო ტურში ყირგიზეთის წარმომადგენლებს სძლიეს — 84:81. ოქროს მედლები უკრაინელ სპორტსმენებს გადაეცათ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს ტყვიის მსროლელთა წარმატება (უფროსი მწვრთნელი მიხეილ ხერხეულიძე). ჩვენმა გუნდმა 11989 ქულა მოაგროვა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი უკრაინელმა მსროლელებმა დაისაკუთრეს — 12175. მეორე ადგილზეა მოლდაველთა კოლექტივი — 11994. შეჯიბრების ბოლო დღეს მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრიდან სროლაში სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ლიანა ვასინამ (მწვრთნელი ალექსანდრე რაჩეკინი) 579 ქულა მოაგროვა და სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა. კარგად იასპარეზა პისტოლეტით მსროლელ ჭაბუკთა გუნდმაც (პაატა მაზანიშვილი, კოტე კოსმინინი, მიხეილ ზედა). მათ 1108 ქულით III ადგილი დაიკავეს. III ადგილზე გავიდნენ, აგრეთვე, პნევმატური შაშხანიდან მსროლელი ჭაბუკებიც (თემურ ქოიავა, მიხეილ კამინსკი, სერგო ბონდარევსკი). მათ მიერ ნაჩვენები შედეგი — 1108 ქულა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდია.

ველოსიპედისტთა შეჯიბრების ბოლო სახეობა 100 კილომეტრზე გუნდური რბოლა იყო. სტარტზე სულ 102 სპორტსმენი გამოვიდა. თავიდანვე დაწინაურდა 10-კაციანი ჯგუფი. მათ შორის იყო სოხუმის მე-16 საშუალო სკოლის მოსწავლე ელგუჯა ჯიქია. მე-80 კილომეტრზე ლიდერთა ჯგუფს მხოლოდ 4 ველოსიპედისტი შემორჩა. დისტანციის ბოლო მონაკვეთი ყველაზე სწრაფად სოხუმელმა სპორტსმენმა (მწვრთნელი ვალერი ალიუშინი) გაიარა, ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ველოსიპედისტებმა მეცხრე ადგილი დაიკავეს.

გუნდური მეცხრე ადგილი დაიკავეს საქართველოს მოჭადრაკეებმაც. მათ ბოლო ტურში ანგარიშით 6:2 დაამარცხეს სომხეთის ნაკრები და სულ 22,5 ქულა მოაგროვეს. სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება ბელორუსიის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

გუნდური მერვე ადგილი ერგოთ ჩვენს სპორტულ ტანმოვარჯიშეებს.

საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტებმა. სულ 7 სპორტსმენი გამოვიდა ტატამზე, მათგან ხუთმა მედალი მოიპოვა. გუნდური პირველობაც ქართველ ფალავნებს ხვდათ წილად. შეჯიბრების ბოლო დღეს ბრინჯაოს მედალს დაეუფლა მესტიის რაიონის სოფელ კალას საშუალო სკოლის მოსწავლე რამაზ მარგვლიანი (62 კგ, მწვრთნელი რომიკო ჯაფარიძე).

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს სპარტაკიადისთვის ამზადებდნენ ჯემალ ნათელაშვილი (უფროსი მწვრთნელი), იური იმერლიშვილი (გუნდის უფროსი), ვასილ ლაზრიშვილი და ოთარ ნატროშვილი.

# საქართველოს მეჩაიეთა დიდი გამარჯვება

**საქართველოს** მეჩაიეებმა კვლავ გაგვახარეს, დიდი გადამეტებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და სამშობლოს მისცეს 420.558 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამით შარშანდელ რეკორდულ მიჯნას 8.558 ტონით გადააჭარბეს და დიდი წვლილი შეიტანეს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულების საქმეში.

საქართველოს მეჩაიეთა ისტორიაში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. მეჩაიეთა ამ დიდ შრომით გამარჯვებაში სასახელო წვლილი შეიტანეს ჩაის მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა დარგების მუშაკებმა. ეს შესანიშნავი წარმატება იმ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით იჩენენ მეჩაიეობის რაიონების პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები.

## რეგბი

**ჩვენი** ქვეყნის სტადიონებზე დამთავრდა სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი რეგბიში. ამ ასპარეზობაში ოქროს მედლები წილად ხვდათ კიევის „ავიატორის" სპორტსმენებს. მოსკოვის „ფილი" მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო თბილისელმა რკინიგზელებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტთა გუნდი.

თ. ქიქავას ფოტო.



## ფრენბურთი

**რომი.** სსრ კავშირის ფრენბურთელთა ნაკრებმა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში დაამარცხა იტალიის გუნდი ანგარიშით 3:0 (15:10, 15:2, 15:1), 1962 წლის ჩემპიონატის შემდეგ პირველად მოიპოვა ოქროს მედალი. საბჭოთა გუნდი ერთადერთია, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად განვლო.

თამაშის მაღალი კლასი აჩვენეს კუბელმა სპორტსმენებმაც, რომლებმაც ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. III ადგილისთვის ბრძოლაში მათ დაამარცხეს სამხრეთ კორეის გუნდი — 3:1. (საქინფორმი).

# ისევ ნაცნობი სახელები...

**მაგიდის ჩოგბურთი**

**თბილისში,** ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზში დამთავრდა ქალაქის პირად-გუნდური თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „სპარტაკის" (ორი), „ბურევესტნიკის", განათლების განყოფილებისა და სპორტკლუბ „ფეიქრის" კოლექტივები.

„სპარტაკის" ქალთა გუნდმა (ა. სუჯაშვილი, ს. გვილავა, ნ. ოლეინიკოვა) ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა და პირველობა დაისაკუთრა.

ვაჟებშიც სპარტაკელებმა იმარჯვეს — ა. გიკაშვილმა, ა. არუთიუნოვმა და ა. ფრანგიანმა გადამწყვეტ მატჩში დამაჯერებლად დაამარცხეს „ბურევესტნიკი" — 5:2 და საპატიო ჯილდოს დაეუფლნენ.

წინა წლებისგან განსხვავებით ეს შეჯიბრება გაცილებით საინტერესოდ წარიმართა. საქმე, ალბათ, იმაშია, რომ გუნდურ ასპარეზობასთან ერთად გაიმართა პირადი ტურნირიც, რომელშიც 14 ქალი და 20 ვაჟი მონაწილეობდა.

ქალთა შორის ვეტერანმა ოსტატებმა ა. სუჯაშვილმა, ს. გვილავამ და ლ. ახალაძემ ძლიერობით ჩაატარეს ყველა შეხვედრა. განსაკუთრებით ეს ითქმის სუჯაშვილზე, რომელმაც ამჯერადაც გვიჩვენა შემტევი, გააზრებული თამაში და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველობა. მეორე ადგილზე გამოვიდა გვილავა, მესამეზე — ახალაძე.

კარგის მეტი რა გვეთქმის ვეტერანებზე, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდებმა ამ შეჯიბრებაზე მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს თავი. რესპუბლიკის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, 18 წლის ნ. გოზალიშვილმა, მაგალითად, სამი დამარცხება განიცადა და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა.

ვაჟთა შორისაც ვეტერანმა მიაღწია წარმატებას, ეს გახლავთ 34 წლის გიკაშვილი, რომელმაც ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და დამსახურებულად გავიდა პირველ ადგილზე. აღსანიშნავია, რომ მან რვა ორთაბრძოლაში მხოლოდ ერთი პარტია წააგო.

მეორე ადგილზეა თბილისის ჩემპიონი ა. ფრანგიანი, მესამეზე — მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი, 17 წლის მ. ბირბიჩაძე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენები სამწუხაროდ, სათამაშო პრაქტიკის უკმარობას განიცდიან, რაც, ცხადია, განსაკუთრებით იჩენს თავს საკავშირო ტურნირების დროს. თვითონ განსაჯეთ: მთელი წლის განმავლობაში იმართება ხუთი-ექვსი ასპარეზობა, რომლებშიც ჩვენს მომავალ თაობას უწევს ძალების შემოწმება. ეს რა თქმა უნდა, ძალზე ცოტაა. ამდენად ერთობ მისასალმებელია თბილისის სპორტკომიტეტის გადაწყვეტილება უახლოეს ხანში ორი ფრიად საინტერესო ღონისძიების მოწყობის შესახებ. ერთი მათგანია გოგონებისა და ჭაბუკების პირადი პირველობა, რომელიც მიეძღვნება ახალი კონსტიტუციის მიღების პირველ წლისთავს.

მეორე, არანაკლებ საჭირო ასპარეზობა, როგორც თამაშის კლასის ამაღლების, ასევე მაგიდის ჩოგბურთის შემდგომი პოპულარიზაციისთვის, გახლავთ ბაქოს, ნალჩიკისა და თბილისის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა, რომელიც ნოემბრის მეორე ნახევარში გაიმართება.

იმედია, ზემოხსენებული ტურნირები მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ ჩვენს რესპუბლიკაში მაგიდის ჩოგბურთის განვითარებაში.

**გ. ახალაძე,**
**საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.**

**რეგბი**

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# „ლოკომოტივის" ბრინჯაო

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 1 ოქტომბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი) 10:6 (7:0).

**„ლოკომოტივი":** ზ. ხარშილაძე, ცისკარიშვილი, ცხვედიანი, წერეთელი, ჭვარიძე, პეტუხოვი, ლიბრაძე, დოლიძე, ზ. ხარშილაძე, ანთაძე, ულენტი, ლიპარტელიანი, მ. ხარშილაძე, ტარიელაშვილი (სალთხუციშვილი), გიორგაძე.

**„სლავა":** კოლესნიკოვი, ვატოშკინი, ბოგდანი, არხიპოვი, ფილენკო, კოროტაევი, პოზდნიაკოვი, ბელკოვიჩი, ბელიაევი, ბერზინი, ig. მირონოვი, ივ. მირონოვი (ვდოვინი), ნოვიკოვი, ჩვანოვი, ტოკარევსკი.

**მსაჯი რ. ივანიუხინი (ლენინგრადი).**

შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორებისთვის ამ შეხვედრაში გამარჯვებას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა — ისინი წლეულს მედლების გარეშე დარჩნენ, მაგრამ „სლავას" „ლოკომოტივთან" თავისი ანგარიში ჰქონდა — ადრე გამართული ორი მატჩის შედეგები მათ სასარგებლოდ არ ლაპარაკობდა, ამიტომაც ახლა, ჩემპიონატის უკანასკნელ შეხვედრაში, სურდა პრესტიჟის მატჩი ეთამაშა.

„სლავა" მინდორზე გამარჯვების სურვილით გამოვიდა, რაც არ დაუმალავს მათ კაპიტანს პოზდნიაკოვს, როცა ვკითხეთ თუ როგორი იყო მათი გეგმები.

მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატების ორგზის „ბრინჯაოს" მფლობელი — თბილისის „ლოკომოტივი", რომელიც წლევანდელ სეზონში კარგად თამაშობდა და ერთი კვირის უკან მოსკოვში თანაკლუბელებთან შეხვედრის ფრედ (3:3) დამთავრებამდე ოქროს მედლების მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა, სხვანაირად ფიქრობდა. ბიჭები ჩემპიონობის ხელიდან გაშვებას შეურიგდნენ, მაგრამ ვერცხლის მედლების დაკარგვაც არ უნდოდათ, ამიტომ „სლავასთან" მატჩი, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, თავიანთ სასარგებლოდ უნდა დაემთავრებინათ და დალოდებოდნენ კიევში ადგილობრივი „ავიატორისა" და მოსკოვის „ფილის" გუნდების შეხვედრის შედეგს (გაიმარჯვეს კიეველებმა 10:0).

ფაქტიურად ჩემპიონობის ბედი იქ წყდებოდა. „ფილი" მოგების შემთხვევაში ოქროს მედლების მფლობელი ხდებოდა. დამარცხებული — ბრინჯაოსი, ხოლო „ლოკომოტივი" II ადგილზე გადით[...]

მატჩი თბილისში საინტერეს[ო] გამოდგა, მართალია, ამ დღეს მა[...]პინძელთა რიგებში არ იყვნენ მ[...]სი მწვრთნელი-მოთამაშე თ. ბ[...]დიაშვილი და წლევანდელი ჩე[მ]პიონატის მთავარი ბომბარდირი [...] კილასონია, მაგრამ ბიჭებს გამარ[ჯ]ვების იმდენად დიდი სურვილ[ი] ჰქონდათ, რომ ლიდერების არყ[ო]ფნა არ უგრძვნიათ.

„ლოკომოტივი" წლეულს ყოვე[ლ]ი ქულისთვის რომ შემართებ[ით] იბრძვის ეს ამ მატჩმაც დაად[ას]ტურა. „სლავასთან" მასპინძლებ[ი] თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ ვალში არც სტუმრები დარჩნენ და მინდორზე თანამედროვე რეგბისთვის დამახასიათებელი უშ[ე]ლავათო, ტექნიკური ასპარეზობა გ[ა]ჩაღდა. ანგარიში ანთაძემ გახსნ[ა]. მან კარგად გამოიყენა თანაგუნდელების გადაცემა და არეკნი[ლ] დარტყმით ბურთი მოსკოველთ[ა] კარის ძელებს შორის გაატარ[ა]. ტაიმის მიწურულს ლიპარტელიანის გადაცემის შემდეგ მ. ხარშილაძემ აიღო მოწინაამდეგის „ქალაქი" — 7:0.

შესვენების მერე სტუმრების მიერ ორჯერ ზუსტად დარტყმულ საჯარიმოს გიორგაძემ ერთით უპასუხა და „ლოკომოტივმა" ამ დღის პროგრამა პირნათლად გაანაღდა.

მატჩის შემდეგ გუნდის უფროსს, სპორტის ოსტატ თ. რუხაძეს, ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვით მოეთხრო „ლოკომოტივის" გეგმებზე.

— წლევანდელი შედეგით უკმაყოფილო არ ვართ — „ბრინჯაოც" კარგია, თუმცა მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა. გაისად ვეცდებით „ბრინჯაო" „ოქროდ" ვაქციოთ. რაც შეეხება უახლოეს გეგმას, 15 ოქტომბერს მოსკოვში სსრ კავშირის თასისთვის მატჩი გვაქვს ადგილობრივ „სპარტაკთან", რომელიც მზარდ კოლექტივად ითვლება. ჩვენი მიზანია გათამაშების შემდეგ ეტაპზე გასვლა, სადაც მორიგი მეტოქე იქნება დედაქალაქის „ფილი" (თუ მან თავისი მოწინააღმდეგე დაამარცხა). მოგეხსენებათ, „ლოკომოტივი" სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშების ფინალისტია და არ გვინდა წლეულს უფრო უარეს როლში აღმოვჩნდეთ.

**ო. გელაშვილი.**

• • •

**სურათზე: შეხვედრის მომენტი.**

**თ. ქიქავას ფოტო.**



# სპორტული ოქტომბერი

**აი, რა შეჯიბრებები გაიმართება რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე ოქტომბერში:**

3-4. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს სსრ თასის გათამაშება. ქუთაისი.

3-6. ტრეკზე ველორბოლა. საკავშირო პროფსაბჭოს პირველობა. თბილისი.

3-30. საქართველოს პროფსაბჭოს სპარტაკიადა (II ეტაპი). თბილისი.

5-8. ქართული ჭიდაობა. საქართველოს სსრ თასი. კასპი.

6-8. ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა. საქართველოს სსრ საშემოდგომო პირველობა. ფოთი.

9-17. ხელბურთი. საქართველოს სსრ ჩემპიონატი I ჯგუფის ვაჟთა გუნდებისთვის (II წრე). ტყიბული.

7-12. ბადმინტონი. საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზის ღია გათამაშება. ბათუმი.

13-19. მძლეოსნობა. მ. ხერგიანის მემორიალი. გაგრა.

14 ოქტომბერი-4 ნოემბერი. ჭადრაკი. ვ. ქარსელაძის მემორიალი. ქუთაისი.

15-20. ტრეკზე ველორბოლა. წყვილთა ექვსდღიან ველორბოლაში საერთაშორისო შეჯიბრება — „თბილისის ექვსი დღე". თბილისი.

19-22. ქართული ჭიდაობა. სოფლის სპორტსმენთა III რესპუბლიკური თამაშების ფინალური შეჯიბრება. თბილისი.

19-24. ფრენბურთი. საქართველოს სსრ ტერიტორიული პირველობა (ფინალური თამაშები). თელავი.

20-28. ხელბურთი. საქართველოს სსრ ჩემპიონატი I ჯგუფის ქალთა გუნდებს შორის (I წრე). თბილისი.

20 ოქტომბერი-6 ნოემბერი. ჭადრაკი. სპორტის ოსტატთა და სპორტის ოსტატობის კანდიდატთა რესპუბლიკური ტურნირი. თბილისი.

21-29. საგზატკეცილო ველორბოლა. საქართველოს სსრ პირველობა და 1959-61 წლებში დაბადებულთა მრავალდღიანი ასპარეზობა თბილისი.

23-29. რეგბი. საქართველოს ჩემპიონატი (II წრე). გურჯაანი.

25-29. ქართული ჭიდაობა. დ. ხიზამბარელის პრიზის გათამაშება. ასპინძა.

25-29. სპორტული ტანვარჯიში. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზებზე ახალგაზრდა სპორტსმენთა შეჯიბრება. თბილისი.

27-30. სასტენდო სროლა. 1958 წელს დაბადებულთა და უფრო ახალგაზრდების რესპუბლიკური პირველობა. თბილისი.

27 ოქტომბერი — 3 ნოემბერი. კალათბურთი. უფროსი ასაკის გოგონებისა და ჭაბუკების რესპუბლიკური პირველობა. გორი.

30 ოქტომბერი-3 ნოემბერი. ტყვიის სროლა. სსრ კავშირის თასი ოლიმპიურ ვარჯიშებში. სოხუმი.

**ძალოსნობა**

კიროვაკანში გაიმართა ოლიმპიური სარეზერვო ცენტრების საკავშირო შეჯიბრება ძალოსნობაში, რომელშიც 24 გუნდი მონაწილეობდა.

ამ ასპარეზობაში კარგად გამოვიდნენ მწვრთნელის გ. ფარულავას აღსაზრდელები, თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი **ზ. ნადირაშვილი** და ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის მეოთხეკურსელი **რ. ტონოგანიანი.** ორივე სპორტსმენი „განთიადის" წევრია.

ტონოგანიანმა, რომელიც 82,5 კგ წონის ათლეტთა შეჯიბრებაში გამოდიოდა, 187,5-კილოგრამიანი შტანგა აჰკრა და 3,5 კილოგრამით გააუმჯობესა 12 წლის უკან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გ. კოჩიევის მიერ დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი. ტონოგანიანმა ორჭიდში 327,5 კილოგრამი მოაგროვა და ო. დემუროვის რესპუბლიკური რეკორდი გაიმეორა.

ნადირაშვილი მეორე ზემძიმე წონაში (110 კგ-ს ზევით) ასპარეზობდა. მან იუნიორთა ორი რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა: ატაცში 145 კგ აჩვენა, ორჭიდში — 340. ორივე ეს შედეგი 5-5 კილოგრამით აღემატება მისსავე ძველ მიღწევებს.

# წინ მეორე ეტაპია

**8 ოქტომბერს** დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე დაიწყება საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური სპარტაკიადის II ეტაპი. როგორც ცნობილია, I ეტაპი გაზაფხულზე მოეწყო ექვს სახეობაში, მან „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრები დააწინაურა. ამ საზოგადოების გუნდებმა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, ძალოსნობაში, საგზატკეცილო ველორბოლასა და მშვ მრავალჭიდში 56 ქულა მოაგროვეს. „კოლმეურნე" 3 ქულით ასწრებს „განთიადსა" და „ბურევესტნიკს", რომლებიც II და III ადგილებზე არიან. შემდეგ მოდიან „სპარტაკი" — 29 ქულა, „ლოკომოტივი" — 27, „შრომითი რეზერვები" — 26 და „ვოდნიკი" — 11.

II ეტაპის შეჯიბრებებს 3 ოქტომბერს „ლოკომოტივის" აუზში ასპარეზობით მოცურავეები გახსნიან. 10-12 ოქტომბერს „დინამოს" სტადიონზე გაიმართება მძლეოსანთა ტურნირი. ამ ეტაპის პროგრამაშია, აგრეთვე, კალათბურთი (15-18 ოქტომბერი), ფრენბურთი (21-24), ქართული ჭიდაობა და წყალში ხტომა, ტანვარჯიში და კრივი.

როგორც ცნობილია, სპარტაკიადის მიზანია ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოების საქართველოს სსრ სპარტაკიადისთვის მზადების შემოწმება.

**ჯ. ბარათაშვილი.**

# გორში პირველად...

**გორის** ავტომოყვარულთა საზოგადოების საქალაქო საბჭოს, დოსააფისა და ქალაქის ავტოინსპექციის ინიციატივით აქ ჩატარდა გორის პირველობა ავტომოტომრავალჭიდში, რომელიც კომკავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა. ასეთი ტურნირი აქ ადრე არასოდეს გამართულა. ალბათ ამანაც გამოიწვია მაყურებელთა ესოდენ დიდი ინტერესი.

შეჯიბრებაში ადგილობრივი სპორტსმენების გარდა ძალებს სცდიდნენ რესპუბლიკის ავტომოყვარულთა საზოგადოებისა და თბილისის უნივერსიტეტის ავტოსპორტკლუბის წევრები.

გამარჯვება მოიპოვა გორის ავტომოყვარულთა საზოგადოების გუნდის წევრმა თ. ნოჭაშვილმა, რომელმაც ყველა დავალების შესრულებაზე 1 წუთი და 14,6 წამი დახარჯა და თითქმის 7 წამით აჯობა ი. ქოქოშვილს (სპორტკლუბი „დილა"). კარგად გამოვიდნენ, აგრეთვე, ვ. ქერდიყოშვილი, მ. ესიაშვილი, დ. დიღმელაშვილი და გ. ლომინაძე.

**ი. თევდორაშვილი.**

**აფროსნობა**

# გაშლილ ზღვასა და კელასურაზე

**სოხუმში** შვიდ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი აფროსნობასა და ვინდსორფინგში. საიალქნო სპორტის წარმომადგენლები დიდ დისტანციაზე გაშლილ ზღვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ხოლო ვინდსორფინგისტები „ტრუდის" ტერიტორიაზე, მდინარე კელასურაზე გამოდიოდნენ.

ორივე სახეობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისისა და ფოთის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ვინდსორფინგი სპორტის ახალი სახეობაა. მას საბჭოთა კავშირში ხუთიოდე წლის ისტორია აქვს. სამწუხაროდ, სპორტის ამ სახეობაში სრული გუნდი მხოლოდ თბილისმა გამოიყვანა. რაც შეეხება აფროსნობას, აქ აფხაზეთისა და აჭარის კოლექტივები ჩაებნენ ასპარეზობაში მთლიანი შემადგენლობით.

აფროსნობაში გუნდური ადგილები ასე განაწილდა. აჭარა — 367,5 საჯარიმო ქულა, აფხაზეთი — 422,6 ქ. თბილისი — 538,0, ფოთი — 742,1.

ვინდსორფინგში გაიმარჯვა თბილისელთა ნაკრებმა — 134,4 ქულა. მეორე იყო აჭარის — 186,8 ქ. მესამე — აფხაზეთის — 250,4, ხოლო მეოთხე — ფოთის კოლექტივი — 384 ქ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა აჭარის გუნდი — 367,7 ქულა, II ადგილზეა აფხაზეთის — 422,6, ხოლო III — თბილისის ნაკრები — 538,0, ფოთელებმა 742,1 ქულა დააგროვეს.

შეჯიბრების შედეგებზე ერთგვარი გავლენა იქონია ქარმა.

ასპარეზობა საჯარიმო ქულებს გარეშე დაამთავრეს ა. ახუბამ (სოხუმი) — კატამარან „ტორნადოთი", ი. კარგინმა — „მფრინავი ჰოლანდიელით" და გ. ატმაჩიდიმ (ორივე — ბათუმი) — „420" კლასში.

**ლ. ხეცურიანი.**

### ტექნიკური შედეგები

**აფროსნობა.** კატამარანი „ტორნადო". ა. ახუბა — 0 ქულა, ვ. ხაბურზანია (ორივე — სოხუმი) — 18 ქ., მ. სიჭინავა (ფოთი) — 31,5 ქ. „მფრინავი ჰოლანდიელი". ი. კარგინი (ბათუმი) 0 ქ. ს. პეტროვი (სოხუმი) —18 ქ. რ. გოგოხია (ბათუმი) — 38,8 ქ. კლასი „470". ა. სობოლი (სოხუმი) — 6 ქ., ს. ბოგაჩევი (ბათუმი) — 9 ქ., რ. მაგდეევი (სოხუმი) — 22,8 ქ. კლასი „420". გ. ატმაჩიდი (ბათუმი) 0 ქ., ა. გვაზავა (სოხუმი) — 18 ქ. „ფინი". ი. ბოგაჩოვი 5,7 ქ., ე. ლარკინი (ორივე — ბათუმი) — 12 ქ., ს. პეტროვი (სოხუმი) 28,4 ქ., „ოკ-დინგი". ა. რამიშვილი — 3 ქ., მ. მარჩენკო (ორივე — ბათუმი) — 12 ქ., ი. შაპარცევი (სოხუმი) — 34,2 ქ.

**ვინდსორფინგი. ქალები.** ნ. ქსოვრელი (თბილისი) — 55 ქ. ლ. პოპოვა (ბათუმი) — 86 ქ. **ვაჟები.** ვ. სალნიკოვი — 8,7 ქ., ვ. იაბლოჩკინი (ორივე — თბილისი) — 21 ქ., პ. კირიცევი (ბათუმი) — 23 ქ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპარაუდო ფინიშის მოლოდინში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 1 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) 3:0 (2:0).

„დინამო“: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე (მუჯირი), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, სულაქველიძე (კოპალეიშვილი).

„არარატი“: ოვსეპიანი, გევორქიანი (მელიქიანი), სარქისიანი, აშ. ხაჩატრიანი, პეტროსიანი, მინასიანი, ბონდარენკო, ქეროპიანი, ან. ხაჩატრიანი, ოჰანესიანი, სააკიანი.

მსაჯი — ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

გოლები: ქორიძე (მე-8 წ.), ყიფიანი (36), გუცაევი (55, პენალტი).

იმ ბედნიერთა რიცხვს არ ვეკუთვნი, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც უნახავს თბილისის „დინამოს“ საზღვარგარეთული მატჩი, მაგრამ ამისწინანდელი ნეაპოლური შეხვედრის თვალის დევნების შესაძლებლობა მომცა ყოვლისმხილველმა ტელევიზიამ მეც, ჩემსავით ათიათასობით გულშემატკივარსა და ყველა იმათ, ვისთვისაც ჩვენი გუნდის წარმატება თუ წარუმატებლობა სულ ერთი არ არის.

იქნებ უცნაურიც იყოს კალენდარული მატჩის ანგარიშის ექსპოზიციად უეფა-ს ტურნირის ერთ-ერთი შეხვედრის შთაბეჭდილებების წამძღვარება, მაგრამ თავს იმით ვიმართლებ, რომ გუნდის მიერ ნათამაშევ ნებისმიერ მატჩზე განცალკევებით, წინა შეხვედრებისგან დამოუკიდებლად საუბარი მაინცდამაინც გამართლებული არ უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარი მიდგომა რამდენადმე სწორი დასკვნის საშუალებას არა და არ იძლევა.

უკანასკნელი 8 დღის მანძილზე „დინამომ“ 3 მატჩი ითამაშა. პირველი, 23 სექტემბერს მოსკოვის „სპარტაკთან“ გუნდმა წააგო, დაკარგა 2 ქულა. მაგრამ უხეიროდ არ უთამაშია. „სპარტაკის“ გამარჯვება დიდი ჯილდო გამოდგა უმაღლეს ლიგაში ახლახან დაბრუნებული კოლექტივისთვის. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს იქცა ზოგიერთისთვის იმის მიზეზად, რომ „დინამოს“ საჩემპიონო პოტენციაში დაეჭვებულიყო, ვერად შეხედა „ნაპოლისთან“ საბოლოო გამარჯვებისთვისაც. ასეთებს უეჭველად „დაავიწყდათ“, რომ სამი დღის შემდეგ გუნდს საკმაოდ მძიმე მატჩი ელოდა ნეაპოლში, ხოლო სამი დღის შემდეგ კი თბილისში „არარატთან“ (ეს კოლექტივი კი, გათამაშების ცხრილის სათავეშია თუ ბოლოში, „დინამოსთან“ სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო თამაშს აჩვენებს ხოლმე. ამგვარი სპორტული მეტოქეობა, რაღა თქმა უნდა, მისასალმებელია). ასეთ პირობებში გუნდს ვერ დავძრახავთ მხოლოდ იმისთვის, რომ ფიზიკური ძალის რაღაც მარაგი ხელუხლებელი დატოვა.

მერე კი ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. „დინამომ“ მშვენივრად ითამაშა „ნაპოლისთან“. მთელი მატჩის განმავლობაში, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, აშკარად იგრძნობოდა, რომ ჩვენები როგორც დასჭირდებოდათ ისე წარმართავდნენ შეხვედრას. ეს იყო საკუთარ ძალაში დარწმუნებული გუნდი, მეკარე გოგიათი დაწყებული და თავდამსხმელებით გათავებული. სასურველი შედეგის მიუხედავად, დარჩა შთაბეჭდილება, რომ „დინამომ“ კვლავ ხელუხლებელი დატოვა რაღაც მარაგი. ამას კი, გრძელ ჩემპიონატსა და იმ განსხვავებასაც თუ გავითვალისწინებთ, რაც ჩვენსა და ევროპული ტურნირების კალენდრებს შორის არსებობს, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

„არარატთან“ მატჩი. აქაც დაუძაბავი თამაში და სასურველი შედეგი. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში „დინამომ“ თავის მეტოქეს სხვა შეღავათიც მისცა. საუბარია ნახევარმცველთა შორის სულაქველიძის გამოჩენაზე. „დინამო“ კარგა ხანია შინ 3 ფორვარდით თამაშობს, გუშინწინდელი შეხვედრა კი ორით დაიწყო. რა თქმა უნდა, აუტსაიდერთან საკუთარ მინდორზე ოთხი ნახევარმცველის გამოყვანა არავითარი აუცილებლობით არ არის ნაკარნახევი, მაგრამ გუნდის მწვრთნელებს მიაჩნიათ, რომ სულაქველიძე რაც შეიძლება ჩქარა უნდა შეეგუოს პარტნიორებს და ამდენად ეს გადაწყვეტილებაც მართებულია. ერთი დეტალიც: მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ „არარატის“ მწვრთნელთა შტაბში როგორც იქნა „დაინახეს“ მეტოქის ეს სასიამოვნო ჟესტი და მცველი გევორქიანი ნახევარმცველ მელიქიანით შეცვალეს. თუმცა, ვერც ამ ცვლამ მისცა შეღავათი სტუმრებს. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ყიფიანმა ჩვეული ოსტატობით გამოიყენა მცველთა ლაფსუსი და ორამდე გაზარდა ანგარიში. პირველი გოლი კი ერევნელთა კარში უკვე მე-8 წუთზე გავიდა — ქორიძემ ლამაზი თავური დარტყმით დააწინაურა დინამოელები.

ტექნიკურად თამაშობენ სტუმრები, მაგრამ ისიც საგრძნობია, რომ ამ სილამაზეს აუცილებელი ძალა აკლია. დინამოელთა თამაში ყველაფერი რიგზეა — გუნდი სურვილისამებრ ცვლის რიტმს, თავისივე სცენარს მიჰყვება, თან დროდადრო საფეხბურთო კონცერტებსაც აწყობს მეტოქის საჯარიმოში.

მეორე ტაიმის მე-10 წუთზე კოსტავას მიერ ერევნელთა კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს ხელით აჩერებენ მცველები. პენალტი. გუცაევს ორჯერ მოუხდა იმის დამტკიცება, რომ ზუსტად ასრულებს 11-მეტრიან საჯარიმოს — 3:0. მატჩი ასეც დასრულდა.

რატომღაც უსიტყვო შეთანხმებით დადგინდა თუ კანონად იქცა და, სპორტული ჟურნალისტებიც თავს იკავებენ პროგნოზებისგან. არადა, სათაკილო და სასირცხვილო ამაში არაფერია. პროგნოზს იმიტომაც ჰქვია პროგნოზი, რომ ის სავარაუდოა, არც არავის ართმევს რამეს და არც წინასწარ არიგებს ჩინ-მედლებს.

მახსენდება მოსკოველი ფეხბურთის მოყვარულის ნათქვამი. ჩემპიონატი ახლახან იყო დაწყებული, მოსკოვში, მესამე ტურის მატჩში თბილისელები თანაკლუბელებს ეთამაშებოდნენ: „უფლება რომ მქონდეს და შეიძლებოდეს, ჩემპიონის გვირგვინს ახლავე დავკიდებდი თქვენს ფეხბურთელებსო“. გულშემატკივრის სიტყვები მატჩის ანგარიშის სათაურად გამოვიყენე. იმ დღეს „ტორპედოს“ სტადიონზე სხვაც ითქვა, მაგრამ ეს პროგნოზი შეგნებულად დავიხსომე, რადგან თვითონაც ასე ვფიქრობდი. მახსენდება სკეპტიკოსთა „პროფესიული“ შენიშვნები: ჯერ რა დროსია... ასე არ შეიძლება და მისთანანი. არადა, რისკი უსაფუძვლო არ ყოფილა. თბილისის „დინამოს“ შარშანწინდელი და შარშანდელი თამაშით საკმაოდ კარგად იგრძნობოდა, რომ გუნდი აღმავლობის გზაზე იდგა. მეტის თქმაც შეიძლება. დარწმუნებული ვარ, რომ წლევანდელი მსაჯობის დონით „დინამო“ შარშანვე მოიპოვებდა პირველი გუნდის სახელს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სხვათა და სხვათა შეცდომებმა ფეხბურთელების ფსიქიკაზე უეჭველად იმოქმედა და „დინამომაც“ სეზონის მიწურულს, ბუნებრივია, დათმო პოზიციები. წლეულს ვითარება კარდინალურად შეიცვალა, მსაჯობის დონემ ერთგვარად აიწია და ახლა ძნელად მეგულება კაცი, რომელიც საეჭვოდ მიიჩნევს თბილისელთა „ოქროს“ ფინიშს. თუმცა „დინამოსგან“ სხვასაც მოითხოვენ და სავსებით სამართლიანადაც. საქართველოს პირველმა გუნდმა ბოლოს და ბოლოს უნდა დაძლიოს უეფა-ს თასის გათამაშების ის მესამე, დეკემბრის ზღუდე, თუნდაც იმიტომ, რომ აღარავის ათქმევინოს: დეკემბერი დამნაშავე არ არისო.

ი. ბერიაშვილი.

* * *

სურათებზე: ვ. ქორიძეს პირველი გოლი გააქვს ერევნელთა კარში; დ. ყიფიანის ამ დარტყმის შემდეგ ანგარიში ორამდე გაიზარდა.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## უმაღლესი ლიგა

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის 25-ე ტურის კალენდარული შეხვედრები.

„დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“ 3:1

„შახტიორი“ — „ქაირათი“ 1:3

„ნეფთჩი“ — ცსკა 2:1

„დნეპრი“ — „ფახთაქორი“ 0:1

„ტორპედო“ — „ზარია“ 2:0

„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 25 | 15 | 6 | 4 | 37—19 | 36 |
| „შახტიორი“ | 25 | 14 | 4 | 7 | 35—25 | 32 |
| „დინამო“ მ. | 25 | 12 | 7 | 6 | 32—21 | 31 |
| „ჩერნომ.“ | 25 | 11 | 9 | 5 | 35—20 | 30 |
| „დინამო“ კ. | 25 | 11 | 8 | 6 | 32—19 | 30 |
| „ტორპედო“ | 25 | 11 | 8 | 6 | 29—20 | 30 |
| „სპარტაკი“ | 25 | 11 | 5 | 9 | 34—28 | 27 |
| ცსკა | 25 | 10 | 4 | 11 | 28—34 | 24 |
| „ფახთაქ.“ | 25 | 9 | 6 | 10 | 37—35 | 24 |
| „ზენიტი“ | 25 | 8 | 7 | 10 | 28—37 | 23 |
| „ქაირათი“ | 25 | 8 | 7 | 10 | 27—32 | 23 |
| „ზარია“ | 25 | 7 | 7 | 11 | 31—37 | 21 |
| „ნეფთჩი“ | 25 | 7 | 6 | 12 | 22—30 | 20 |
| „არარატი“ | 25 | 7 | 3 | 15 | 15—35 | 17 |
| „ლოკომოტ.“ | 25 | 4 | 8 | 13 | 20—37 | 16 |
| „დნეპრი“ | 25 | 6 | 3 | 16 | 19—32 | 15 |

## ფეხბურთი

### პირველი ლიგა

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა მიერ დუშანბეში ჩატარებული განვლილი ტურის კალენდარული მატჩის ტექნიკური მონაცემები.

„პამირი“ (დუშანბე) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3:0 (0:0).

„პამირი“: ტრუსტენიუკი, მოსიაგინი, ჩერევჩენკო, კირილენკო, აზამოვი (მურადოვი), ტარბაევი, როდიონოვი, ბელიალოვი (რაიმჯანოვი), გესი, ამრიევი (დიდიჩი), ტურსუნოვი.

„ტორპედო“: მჭედლიძე, ზ. სვანაძე, გოგოლაძე (გვაძაბია), მელიქია, ფარულავა, თევზაძე, ბურკაძე, ქვირია, ძებისაშვილი (კვაჭანტირაძე), შელია (წვერავა), ებანოიძე.

მსაჯი ვ. გლებოვი (მოსკოვი).

გოლები: ტარბაევი (53-ე წუთი), ამრიევი (59), კირილენკო (69, პენალტით).

დუბლიორები — 1:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ.“ | 31 | 18 | 10 | 3 | 50—22 | 46 |
| ასკ რ. | 31 | 14 | 14 | 3 | 51—27 | 42 |
| „კარპატი“ | 30 | 16 | 8 | 6 | 44—29 | 40 |
| „დინ.“ მნ. | 31 | 14 | 11 | 6 | 41—27 | 39 |
| „თერგი“ | 32 | 14 | 7 | 11 | 46—43 | 35 |
| „ყუბანი“ | 31 | 13 | 9 | 9 | 42—33 | 35 |
| „ტავრია“ | 31 | 11 | 10 | 10 | 42—34 | 32 |
| „ჟალგირ.“ | 30 | 8 | 16 | 6 | 31—27 | 32 |
| „ნისტრუ“ | 31 | 12 | 7 | 12 | 37—33 | 31 |
| „კუზბასი“ | 31 | 11 | 7 | 13 | 33—42 | 29 |
| „შინიკი“ | 30 | 11 | 7 | 12 | 31—32 | 29 |
| „პამირი“ | 32 | 8 | 13 | 11 | 39—35 | 29 |
| ასკ ოდ. | 31 | 10 | 8 | 13 | 34—44 | 28 |
| „ტორპედო“ | 31 | 10 | 8 | 13 | 30—34 | 28 |
| „მეტალ.“ | 31 | 7 | 14 | 10 | 31—38 | 28 |
| „ურალმ.“ | 31 | 8 | 11 | 12 | 26—36 | 27 |
| „სპარ.“ ი.-ფ. | 31 | 10 | 5 | 16 | 35—50 | 25 |
| „დინამო“ ლ. | 32 | 7 | 11 | 14 | 43—54 | 25 |
| „კოლხოზ.“ | 32 | 7 | 7 | 18 | 25—50 | 21 |
| „სპარ.“ ორ. | 32 | 7 | 7 | 18 | 22—43 | 21 |

### მეორე ლიგა

მოგვყავს II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების 37-ე ტურის შეხვედრათა შედეგები:

„ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „დინამო“ (ზუგდიდი) — 0:2, „რუბინი“ (ყაზანი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:2, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:2, „ზვეზდა“ (პერმი) — „დილა“ (გორი) 4:1, „დინამო“ (კიროვი) — „დინამო“ (ბათუმი) 3:1, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „დინამო“ (სოხუმი) 3:0, „გასტელო“ (უფა) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 5:0, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:1, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 5:0, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 3:0, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 3:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზვეზდა“ | 37 | 22 | 8 | 7 | 60—28 | 52 |
| „გურია“ | 37 | 18 | 9 | 10 | 65—40 | 45 |
| „შირაკი“ | 37 | 16 | 11 | 10 | 60—40 | 43 |
| „ავტომობ.“ | 37 | 18 | 6 | 13 | 54—49 | 42 |
| „ტორპედო“ | 37 | 17 | 8 | 12 | 54—32 | 42 |
| „რუბინი“ | 37 | 16 | 10 | 11 | 50—39 | 42 |
| „დრუჟბა“ | 37 | 18 | 5 | 14 | 49—37 | 41 |
| „ტურბ.“ | 37 | 18 | 5 | 14 | 45—49 | 41 |
| „დინ.“ ზ. | 37 | 15 | 11 | 11 | 50—37 | 41 |
| „კოტაიკი“ | 37 | 18 | 4 | 15 | 48—47 | 40 |
| „გაზოვ.“ | 37 | 16 | 8 | 13 | 53—42 | 40 |
| „ზენიტი“ | 37 | 13 | 14 | 10 | 51—42 | 40 |
| „დინ.“ კრ. | 37 | 15 | 7 | 15 | 51—43 | 37 |
| „გასტ.“ | 37 | 15 | 7 | 15 | 44—47 | 37 |
| „ლოკომოტ.“ | 37 | 14 | 7 | 16 | 51—63 | 35 |
| „ურალეცი“ | 37 | 14 | 7 | 16 | 48—52 | 35 |
| „ყარაბ.“ | 37 | 13 | 9 | 15 | 40—40 | 35 |
| „დილა“ | 37 | 11 | 13 | 13 | 40—43 | 35 |
| „დინ.“ ბ. | 37 | 12 | 10 | 15 | 39—39 | 34 |
| „დინ.“ ს. | 37 | 13 | 7 | 17 | 50—57 | 33 |
| „პროგრ.“ | 37 | 13 | 3 | 21 | 39—63 | 29 |
| ფიზკ. ინსტ. | 37 | 8 | 13 | 16 | 28—41 | 29 |
| „ხაზარი“ | 37 | 9 | 5 | 23 | 29—66 | 23 |
| „არაზი“ | 37 | 5 | 5 | 27 | 30—93 | 15 |

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 30 სექტემბრისთვის

### II ჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მესხეთი“ | 27 | 20 | 4 | 3 | 66—25 | 44 |
| „სიონი“ | 27 | 20 | 3 | 4 | 75—29 | 43 |
| ტაქ. № 3 თბ. | 27 | 18 | 5 | 4 | 45—19 | 41 |
| „ვარძია“ | 24 | 15 | 5 | 4 | 54—27 | 35 |
| „აბული“ | 27 | 15 | 4 | 8 | 31—28 | 34 |
| „ალაზანი“ | 24 | 12 | 7 | 5 | 65—40 | 31 |
| „განახლება“ | 25 | 11 | 6 | 8 | 46—40 | 28 |
| „გარეჯი“ | 27 | 11 | 5 | 11 | 43—38 | 27 |
| „ქართლი“ | 27 | 11 | 4 | 12 | 65—44 | 26 |
| „განთიადი“ | 27 | 9 | 7 | 11 | 55—43 | 26 |
| „იორი“ | 26 | 10 | 3 | 13 | 47—56 | 23 |
| „ფიჩხოვანი“ | 26 | 7 | 6 | 13 | 39—58 | 20 |
| „გარისი“ | 27 | 6 | 8 | 13 | 34—61 | 20 |
| „არაგვი“ | 26 | 5 | 9 | 12 | 36—40 | 19 |
| „ჰერეთი“ | 23 | 6 | 5 | 12 | 35—60 | 17 |
| „თრიალეთი“ | 25 | 6 | 4 | 15 | 31—49 | 16 |
| „ბაკტრიონი“ | 25 | 3 | 10 | 12 | 19—46 | 16 |
| „გამარჯვება“ | 27 | 4 | 7 | 16 | 42—81 | 14 |
| „ცისკარი“ | 27 | 5 | 4 | 18 | 32—76 | 14 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი“ | 24 | 19 | 5 | 0 | 61—19 | 43 |
| „სულორი“ | 25 | 19 | 3 | 3 | 55—24 | 41 |
| „შუქურა“ | 25 | 18 | 4 | 3 | 50—19 | 40 |
| „ბახმარო“ | 22 | 11 | 7 | 4 | 49—31 | 29 |
| „მექალალდე“ | 25 | 12 | 2 | 12 | 45—35 | 26 |
| „ჩამომსხმ.“ | 26 | 10 | 6 | 10 | 39—40 | 26 |
| „ავტომ.“ ბ. | 25 | 9 | 7 | 9 | 36—42 | 25 |
| „ავტომ.“ აბ. | 24 | 8 | 7 | 9 | 24—31 | 23 |
| „გიგანტი“ | 25 | 7 | 8 | 10 | 39—45 | 22 |
| „სენაკი“ | 26 | 6 | 9 | 11 | 37—41 | 21 |
| „მეშახტე“ | 26 | 6 | 9 | 11 | 37—52 | 21 |
| „ნაკადული“ | 25 | 7 | 6 | 12 | 42—48 | 20 |
| „სამგურალი“ | 25 | 5 | 10 | 10 | 21—33 | 20 |
| „ოჯალეში“ | 25 | 8 | 4 | 13 | 34—49 | 20 |
| „შახტიორი“ | 26 | 9 | 2 | 15 | 29—44 | 20 |
| „ნარუჯა“ | 26 | 6 | 7 | 13 | 19—42 | 19 |
| „ავტომობ.“ მ. | 24 | 7 | 1 | 16 | 36—50 | 15 |
| „ავტომობ.“ გ. | 17 | 4 | 3 | 10 | 18—26 | 11 |

## ველოსპორტი

### ე. გელაშვილი — სპრინტში უძლიერესი

**ტაშკენტის** ახალ ველოტრეკზე გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც კომკავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა. პირველი ჯილდო ერთ კილომეტრზე რბოლაში გამარჯვებისთვის მიიღო ლატვიელმა გ. ლატინშმა.

სპრინტერთა რბოლაში უძლიერესი გახლდათ თბილისის დინამოელი ე. გელაშვილი, ხოლო გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში იმარჯვა ლენინგრადელმა ა. კურკინმა.

ამავე სახეობაში გუნდური ტურნირი თურქმენეთის ველოსიპედისტების წარმატებით აღინიშნა. თურქმენეთის სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს, აგრეთვე, საერთო გუნდურ ჩათვლაში.



## დიდი სპორტის საგზური

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს ცხინვალის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. არსებობის 30 წლის მანძილზე სკოლამ ასობით ნიჭიერი სპორტსმენი აღზარდა.

გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ყველა ასაკობრივ ჯგუფში საოლქო და რესპუბლიკური ახალი შეჯიბრებებისთვის ემზადებიან.

* * *

სურათზე: ცხინვალის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელები, სპორტის ოსტატები სპორტულ ტანვარჯიშში ა. ზავლოხოვა და ზ. ცხოვრებოვა.

საქინფორმის ფოტო.

# მატჩები მსოფლიო პირველობაზე

## ჭადრაკი

### ბრძოლა ეტლების ენდშპილში

შაბათს ბაგიოში (ფილიპინები) ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XXVIII პარტია გათამაშდა. როგორც ვიუწყებოდით, იგი 42-ე სვლაზე გადაიდო. ეს პარტია კვირას დამთავრდა პრეტენდენტის გამარჯვებით.

გთავაზობთ ამ პარტიას:

**კარპოვი — კორჩნოი**

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 მ:e4 6. d4 b5 7. კb3 d5 8. de კe6 9. c3 მc5 10. კc2 კg4 11. ეe1 კe7 12. მbd2 ლd7 13. მb3 მe6 14. h3 კh5 15. კf5 მcd8 16. კe3 a5 17. კc5 a4 18. კ:e7 ლ:e7 19. მbd2 c6 20. b4 მg5 21. ლe2 g6 22. კg4 კ:g4 23. hg მde6 24. ლe3 h5 25. მ:g5 ლ:g5 26. ლ:g5 მ:g5 27. gh ე:h5 28. მf1 ეh4 29. ეad1 მფe7 30. f3 მe6 31. მe3 ეd8 32. მg4 მg5 33. მe3 მe6 34. მg4 მg7 35. მe3 მf5 36. მc2 ეc4 37. ეd3 d4 38. g4 მg7 39. მ:d4 მe6 40. ეed1 მ:d4 41. cd ე:b4 42. მფf2 c5 (ჩაწერილი სვლა) 43. d5 ეb2+ 44. მფg3 ე:a2 45. ეe3 b4 46. e6 ეa3 47. ეe2 fe 48. ე:e6+ მფf7 49. ეde1 ეd7 50. ეb6 ეd3 51. ეee6 ე3:d5 52. ე:g6 a3 53. ეbf6+ მფe7 54. ეe6+ მფf8 55. ეef6+ მფe7 56. ეe6+ მფd8 57. ეa6 ეb7 58. ეg8+ მფc7 59. ეg7+ ეd7 60. ეg5 b3 61. ე:c5+ მფb8. თეთრები დანებდნენ.

მეტოქეებმა ესპანური პარტიის ღია ვარიანტი გაითამაშეს. დაძაბული სადებიუტო ბრძოლის შემდეგ ჯერ მსუბუქი ფიგურები, მერე ლაზიერები გაიცვალა. თამაში ოთხი ეტლის დაბოლოებაში გაგრძელდა და მწვავე პოზიციაში გადაიდო.

თამაშის განახლებისას შავებმა შეძლეს ლაზიერის ფრთის პაიკებისთვის გზის გათავისუფლება და მათი ამოძრავებაც. კარპოვი ეტლებით თავს დაესხა შავ მეფეს, მაგრამ პაიკები მაინც ვერ შეაჩერა.

კვლავ წინაა კარპოვი — 5:3. XXIX პარტია დღეს, 3 ოქტომბერს უნდა შედგეს.

### მეორედ კარო-კანის დაცვა

როგორც ვიუწყებოდით, ბიჭვინთაში, ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩის მეთოთხმეტე პარტია, რომელიც შაბათს გაიმართა, გადაიდო 41-ე სვლაზე. გუშინწინ თამაშის განახლებისას შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

აი, ეს პარტია:

**ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძე**

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მd2 de 4. მ:e4 კf5 5. მg3 კg6 6. h4 h6 7. h5 კh7 8. მf3 მd7 9. კd3 კ:d3 10. ლ:d3 მgf6 11. კd2 ლc7 12. ლe2 e6 13. 0-0-0 c5 14. ეh4 ეc8 15. მf5 cd 16. მ3:d4 ლc4 17. ლ:c4 ე:c4 18. ეe1 ეc5 19. მg3 კe7 20. მb3 ეc8 21. კb4 კ:b4 22. ე:b4 ეc7 23. მd4 a6 24. მdf5 0-0 25. მe3 ეfc8 26. ეe2 b5 27. ეd4 მფf8 28. f4 მb6 29. ეed2 მc4 30. მ:c4 ე:c4 31. b3 ე:d4 32. ე:d4 მფe7 33. a4 ეc5 34. მფb2 [illegible] 36. ab ab 37. [illegible] 39. g3 [illegible] 41. მფd3 g5 42. მფe4 gf 43. gf მf6+ (ჩაწერილი) 44. მფf3 მd5 45. მფg4 მe3+ 46. მფh5 მფd5 47. მფ:h6 მფe4 48. მფg7 f5 49. მფf6 მფd3 50. მd4 b4 51. cb მფ:d4 52. მფ:e6. ყაიმი.

ჩიბურდანიძემ მეორედ აირჩია კარო-კანის დაცვა და მალე გაათანაბრა თამაში. სპეციალისტების აზრით, მან ახალი სვლა გააკეთა ცნობილ პოზიციაში. როცა ბრძოლა ენდშპილში გადავიდა, გაფრინდაშვილმა რამდენიმე პასიური სვლა გააკეთა და ინიციატივას ჩიბურდანიძე დაეუფლა. მანევრულ თამაშში თეთრების პოზიციას ზღვარი გაუჩნდა და მსოფლიო ჩემპიონმა პაიკი დათმო.

გადადებული პარტიის დამთავრებისას ჩიბურდანიძემ ვერ გამოიყენა მოგების შანსი. ზედმეტი პაიკის რეალიზაციის მისი გეგმა უსწორო აღმოჩნდა. გაფრინდაშვილმა მხედრის შეწირვით საყაიმო პოზიცია შექმნა.

### გუშინ

უნდა გამართულიყო მეთხუთმეტე პარტია. მაგრამ ჩიბურდანიძემ წუთ-შესვენება აიღო და ეს პარტია 4 ოქტომბერს გაიმართება.

მატჩის ანგარიშია 8:6 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. სათამაშო დარჩა ორი პარტია. ჩიბურდანიძეს ყაიმიც ყოფნის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული რომ მოიპოვოს, გაფრინდაშვილმა კი ორივე შეხვედრა უნდა მოიგოს ტიტული რომ არ დათმოს.

## შაში

### დაწინაურდნენ გოგონები

ალმა-ათაში გრძელდება ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ქალთა IV ჩემპიონატის ფინალი. 10 ტურის შემდეგ ლიდერობენ ახალგაზრდა მონაწილენი — მოსწავლეები ე. ალტშული (მინსკი) — 7,5 ქულა და მ. მოსიძე (თბილისი) — 7. მათ კვალში მიჰყვებიან სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონი რ. ვიტკაუსკაიტე, სსრ კავშირის 1975 და 1976 წლების ჩემპიონი ლ. ტრავინა (ორივე — ვილნიუსი), ო. ლევინა (ხარკოვი) და ქ. საკალაუსკაიტე (ვილნიუსი) — 6,5.

განვლილ ორ ტურში ალტშულმა დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ე. მიხაილოვსკაია (მოსკოვი) და დაუზავდა ო. ახმედოვას (ტაშკენტი). მაია მოსიძემ X ტურში მოუგო ა. ერისს (რიგა).

სათამაშო დარჩა 5 ტური.

### ახალგაზრდული შემართებით

დამთავრდა 64-უჯრიან შაშში ჭაბუკთა შორის თბილისის პირველობა, რომელშიც 34 ნორჩი მოთამაშე მონაწილეობდა.

დედაქალაქის ჩემპიონის სახელი მოიპოვა 22-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ მ. კანდელაკმა (9 ქულა 11-დან), რომელმაც შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო. II ადგილი ხვდა ვ. ბერუაშვილს — 8,5, III-IV ადგილებზე გაიყვეს ნ. სვანიშვილმა და ა. ტყაბლაძემ — 8-8.

პირველი ოთხი პრიზიორი მიწვეულია ჭაბუკთა შორის საქართველოს პირველობაში, რომელიც ნოემბერში ბათუმში ჩატარდება.

ვ. კანდელაკი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

### გაიმარჯვა მესამედ

სოჭში დასრულდა სოციალისტური ქვეყნების სოფლის მოშაშეთა მესამე საერთაშორისო ტურნირი ასუჯრიან შაშში. I ადგილი მესამედ დაიკავა მოსკოველმა დიდოსტატმა ვ. აგაფონოვმა.

## მძლეოსნობა

### ოლიმპიური ჩემპიონის „რვაათასიანი“

**ოდესა.** ქვეყნის უძლიერეს ათჭიდელთა შორის კვლავ დაიმკვიდრა ადგილი მიუნხენის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ავილოვმა. მძლეოსნურ მრავალჭიდში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში, რომელიც ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ოდესაში, ავილოვმა ქულათა ბრწყინვალე ჯამი (8165) მოაგროვა. მან 110 მ თარჯებით 14,3-ში, ხოლო 100 მ 10,9-ში დაფარა და აჩვენა საუკეთესო შედეგი სიმაღლეზე ხტომაში — 206 სმ.

შეჯიბრების პროგრამაში იყო, აგრეთვე, 20 კმ-ზე გარბენი და სპორტული სიარული. მორბენალთა შორის პირველი იყო კიეველი ვ. ხოლოვეი — 1:3.55,8. სპორტულ სიარულში გაიმარჯვა ბელორუსმა სპორტსმენმა ს. სტრელჩენკომ (1:35.30,5). (საკდესი).

## მაგიდის ჩოგბურთი

### უილბლო სტარტი

**ხერსონი.** სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები, რომელიც განახლებული შემადგენლობით გამოდის, ევროპული ლიგის პირველობის პირველ მატჩში დამარცხდა წინა გათამაშების გამარჯვებულთან — საფრანგეთის ნაკრებთან — 2:5.

საბჭოთა გუნდს ქულები შესძინეს ლ. ბაკშუტოვამ, რომელმაც მოუგო კ. ბერჟერს — 2:0 და ვ. შევჩენკომ, რომელმაც ასეთივე ანგარიშით დაამარცხა კ. მარტენი. (საკდესი).

# წილისყრის შედეგები

უეფა-ს საშტაბო ბინაში გაიმართა ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის წილისყრა. მოგვყავს მისი საერთო შედეგები.

### ჩემპიონთა თასი

#### მერვედფინალი

„დინამო“ (კიევი) — „მალმე“ (შვედეთი)

აეკ (საბერძნეთი) — „ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი)

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — ფსვ „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)

„ლოკომოტივი“ (სოფია, ბულგარეთი) — „კიოლნი“ (გფრ)

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია)

„ბოჰემიანსი“ (ირლანდია) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ)

„ზბროიოვკა“ (ჩეხოსლოვაკია) — „ვისლა“ (პოლონეთი)

„აუსტრია“ (ავსტრია) — „ლილესტრიომი“ (ნორვეგია)

### თასების თასი

#### მერვედფინალი

„ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „შემროკ როვერსი“ (ირლანდია)

„იფსვიჩი“ (ინგლისი) — „სვაროვსკი-ვაკერი“ (ავსტრია)

„სერვეტი“ (შვეიცარია) — „ნანსი“ (საფრანგეთი)

„ანდერლეხტი“ (ბელგია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი)

„ინტერნაციონალე“ (იტალია) — „ბოდე გლიმტი“ (ნორვეგია)

„აბერდინი“ (შოტლანდია) — „ფორტუნა“ (გფრ)

„ბევერენ ვაასი“ (ბელგია) — „რიეკა“ (იუგოსლავია)

„მაგდებურგი“ (გდრ) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი)

### უეფა-ს თასი

#### მეთექვსმეტედფინალი

„ჰერტა“ (დას. ბერლინი) — „დინამო“ (თბილისი)

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „შტუტგარტი“ (გფრ)

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ)

„ევერტონი“ (ინგლისი) — „დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია)

„არჯეში“ (რუმინეთი) — „ვალენსია“ (ესპანეთი)

„აიაქსი“ (ჰოლანდია) — „ლოზანა“ (შვეიცარია)

„სპორტინგი“ (ბრაგა, პორტუგალია) — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ (ინგლისი)

„რესინგი“ (სტრასბურგი, საფრანგეთი) — „ჰიბერნიანი“ (შოტლანდია)

„რეალი“ (ხიხონი, ესპანეთი) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)

„კარლ ცეისი“ (გდრ) — „დუისბურგი“ (გფრ)

„კუოპიო პალოსეურა“ (ფინეთი) — „ესბერგი“ (დანია)

„ვესტმანაეიარი“ (ისლანდია) — „შლონსკი“ (პოლონეთი)

„მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) — „სტანდარდი“ (ბელგია)

„პოლიტექნიკა“ (ტიმიშოარა, რუმინეთი) — „ჰონვედი“ (უნგრეთი)

„ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — „არსენალი“ (ინგლისი)

„ლევსკი-სპარტაკი“ (ბულგარეთი) — „მილანი“ (იტალია)

**შენიშვნა:** ბულგარეთის „ლევსკი-სპარტაკმა“ საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან“ პირველი მატჩი წააგო — 1:2, ხოლო განმეორებითი მოიგო ანგარიშით 3:1.

II რაუნდის პირველი მატჩები ჩატარდება წილისყრაში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე. თამაშები გაიმართება 18 ოქტომბერს და 1 ნოემბერს.

## ფეხბურთი

**კოლუმბიის** მთავრობის დადგენილებით ამ ქვეყნის დედაქალაქში — ბოგოტაში შეიქმნა 1986 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტი.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაცია და დასავლეთ გერმანიის კლუბი „ჰამბურგი“ ოფიციალურად შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ინგლისელმა ფეხბურთელმა კ. კიგანმა, რომელიც ახლა „ჰამბურგში“ გამოდის, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში უნდა ითამაშოს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში.

**ავსტრიის** ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ჰ. სენეკოვიჩმა განცხადება შეიტანა გადადგომის შესახებ. იგი მექსიკის „უნივერსიდადის“ (გვადალახარა) ტექნიკურ დირექტორად იწყებს მუშაობას.

„**პალმეირასმა**“ (სან-პაულუ) დათმო ბრაზილიის ჩემპიონის ტიტული და მძიმე ფინანსურ „ცაიტნოტში“ ჩავარდა. ამასთან დაკავშირებით კლუბის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ჰყიდის მეკარე ლეაოს, რომელიც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი იყო.

## ჩვენი მოძმე კომკავშირი

### მშდ-ის პროგრამით

აშხაბადში სტარტი აიღო მშდ-ის მრავალჭიდის პროგრამით რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ წვევამდელთა შორის. კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს შეჯიბრება მოაწყო რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, სამხედრო კომისარიატმა, სპორტკომიტეტმა და თურქმენეთის დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა. მთავარ ასპარეზობას წინ უძღოდა შეჯიბრებები სოფლებში, რაიონებსა და ოლქებში. მათში მონაწილეობა მიიღო 40 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ. მათ შორის 12 ათასმა შეასრულა მშდ კომპლექსის ნორმატივი.

საკდესის კორ.
აშხაბადი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-63; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-61; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-07-20; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.